ხაშურის მოამბე

№4 (255) 4 თებერვალი, სამშაბათი 2020 წელი

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დასახლებებში მოსახლეობის საერთო კრებები დაიწყო

“სოფლის მხარდაჭერის პროგრამის” ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში და დასახლებებში მოსახლეობის საერთო კრებები დაიწყო. მკითხველს შევახსენებთ, რომ წელს, ქვეყნის მასშტაბით, ამ პროგრამის განსახორციელებლად 40 მილიონი ლარი გამოიყო. პროგრამა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, წელს უფრო დახვეწილია და ამ ფაქტს ხელი გასულ წელს შერჩეული პროექტების ანალიზმა შეუწყო.

პროგრამა მართლაც უმნიშვნელოვანესია ჩვენი სოფლებისათვის. გასულ წელს, ქვეყნის მასშტაბით სულ 4800 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მხოლოდ შიდა ქართლში, ეს რიცხვი 447-ია. ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გარდა, გასულ წელს, პროექტების განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტების თანადაფინანსებამ 6 მილიონი ლარი შეადგინა. თანხები კი შემდეგი კატეგორიების მიხედვით გადანაწილდა: გზების რეაბილიტაცია, გარეგანათებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, წყლის სისტემების გამართვა, სასაფლაოების კეთილმოწყობა და სხვა.

მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით, შესაბამისმა სამსახურებმა, უკვე დაიწყეს მოსახლეობასთან შეხვედრები. წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, სოფლებში უკვე იმართება მოსახლეობის საერთო კრებები, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები მუშავდება მერიის სამსახურების მიერ, რათა

დაჩქარდეს საპროექტო წინადადებების შემდგომი განხორციელების პროცესი. მოსახლეობის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება შესაბამისი ოქმით.

გუშინ, სოფელ გომის ზონის მოსახლეობას(გომი, ვაყა, ხიდისთავი, ქვემო აძვისი) მუნიციპალიტეტის მერი და მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების თანამშრომლები შეხვდნენ(სურათზე), სადაც მათ მოისმინეს ადგილობრივების პრობლემები სხვადასხვა ინფერასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებით. ასევე შეხვედრები, რომლებშიც მონაწილეობას მერთან ერთად, მერის მოადგილეები, სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელი პირები იღებდნენ, გაიმართა ცოცხნარაში, წაბლოვანაში, ცედანში, ქინძათში, ალში, ბრილში, ახალუბანში და ცხეთიჯვარში.

მსგავსი შეხვედრები და სოფლის საერთო კრებები აქტიურად გაგრძელდება და მოსახლეობის წინადადებების განხორციელება გაზაფხულის დადგომისთანავე დაიწყება.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია:- მადლობა ხაშურს და ხაშურელებს ასეთი საოცარი მასპინძლობისთვის...

არა, ოცნებას არასოდეს უნდა დაანებოს ადამიანმა თავი.ოცნება მხოლოდ რაღაც კონკრეტული სყრვილის შესრულება არაა. ოცნება ის ულამაზესი მზის სხივია,შენს წარმოსახვაში რომ იბადება და თანდათანობით,კიდევ ათასი ასეთი ბრჭყვიალა სხივების ერთობლიობით მზედ მატერიალიზდება. ამასაც, რომ თავი დავანებოთ,ოცნება, რაღაცნაირად,გაკეთილშობილებს, გათბობს და ერთგვარად, უფალთან გაახლოვებს.

ოცნებას ვინ დაგვიშლიდა, მაგრამ მასზე, რაც, 29 იანვარს, ხაშურში მოხდა ამ, თუნდაც 4-5 წლის წინ,ფანტაქსტიკაში თუ ჩაგითვლიდა ვინმე.უბრალოდ წარმოვიდგინოთ: ვთქვათ, 2010 წელი. უცებ, რომელიმე ნაცნობი გეუბნევა,რომ ხაშურში ყველა ვარსკვლავის მატჩი გაიმართება კალათბურთში. რა თქმა უნდა, გაგეღიმებოდა და იმ ნაცნობს ბარონ მიუნჰაუზენის კლუბში თუ არ ჩარიცხავდი, მის გონებრივ მდგომარეობას აშკარად სავალალოთა ახლოს მდგომად მაინც განიხილავდი. არადა, ეს, თითქოსდა წარმოუდგენელი ფანტაზიის ნაყოფი რეალობად იქცა და ხაშურმა, 29 იანვარს, ALL STAR-ს უმასპინძლა.

ეს ინფორმაცია, მანამდე, ჯერ კიდევ 8-10 დღით ადრე დაანონსდა. ქალაქს უცებ მოედო ეს ამბავი და პირველ დღეებშივე ერთგვარი დაბნეულობაც კი გამოიწვია. თითქოსდა, დაუჯერებლად ჟღერდა და ამიტომაც სხვადასხვა წყაროებიდან ცდილობდნენ ინფორმაციის გადამოწმებას. ყველა წყარო კი ადასტურებდა, რომ ეს რეალობა იყო.

ზოგადად, ALL STAR -ების ისტორია, სად თუ არა ამერიკიდან იწყება. ამერიკა ხომ სპორტის ამ ულამაზესი სახეობის სამშობლოა და არცაა გასაკვირი, რომ ყველა ვარსკვლავის შოუ იქ დაიბადა. მთელი ამერიკა და მსოფლიოც, ყოველივე სეზონის ბოლოს, მოუთმენლად ელოდება ამ წარმოდგენას, რომელშიც მონაწილეობა ნებისმიერი კალათბურთელისთვის უპრესტიჟულესია. თავდაპირველად, მხოლოდ მატჩი იმართებოდა, რომელშიც უშუალოდ ფედერაციის მიერ შერჩეული მოთამაშეები იღებდნენ მონაწილეობას. შემდეგ კი, როდესაც ციფრული ტექნოლოგიები დაიხვეწა და სოციალური ქსელები გაფართოვდა, უკვე გულშემატკივრები ჩაერთვნენ საქმეში და დღეს NBA-ს ყველა ვარსკვლავის მონაწილეებს მთელი მსოფლი ირჩევს. როდესაც ამ შოუს სამქულიანებისა და ე.წ. ჩატენვების კონკურსიც დაემატა, შოუ მართლაც ულამაზესი გახდა და, ფაქტობრივად, არ არსებობს სახელმწიფო, რომელიც, იმ დღეს, პირდაპირ სტელევიზიო რეპორტაჟს თუ არ ახორციელებს, სრულ „დაიჯესტს“ მაინც სთავაზობს გულშემატკივრებს. კარგი,თავი დავანებოთ ამერიკას და აგერ,ხაშურში გადმოვინაცვლოთ. მოდით ჯერ ჩვენი სასპორტო სკოლით დავიწყოთ. ამ ულამაზესმა ნაგებობამ,სადაც მთლიანად ევროპული დონის ინფრასტრუქტურაა, სრულად შეცვალა ჩვენი ქალაქის

(დასასრული VI გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება #57-პ/შ

28 / იანვარი / 2020 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ლელა მაჭარაშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის 37 და 47 დადგენილებების და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 13 იანვრის 4 მომართვით წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის 2020 წლის 13 იანვრის 20 ოქმის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე 2020 წლის 28 იანვრიდან დაინიშნოს ლელა მაჭარაშვილი, ამასთან, იგი გათავისუფლდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობიდან;

2. ბრძანება ეცნობოს: ლელა მაჭარაშვილს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ლელა მაჭარაშვილი დაიბადა 1965 წელს. 1988 წელს წარჩინებით დაამთავრა გორის სასწავლო უნივერსიტეტის საბუღალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ფაკულტეტი და მიიღო ბუღალტერ-ეკონომისტის სპეციალობა. 1988-1993 წლებში იყო ხაშურის სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციის მთავარი ბუღალტერი, შემდეგი ორი წელი კი-ამავე ინსპექციის დირექტორი. 2001-2005 წლებში მუშაობდა შპს "საქართველოს ფოსტის" ხაშურის განყოფილებაში მთავარ ბუღალტრად. 2005-2006 წლებში იყო ხაშურის გამგეობის საფინანსო განყოფილების მთავარი ბუღალტერი. 2013-2014 წელს ასრულებდა გამგებლის თანაშემწის მოვალეობას. 2014 წლიდან, დღემდე, იყო მუნიციპალიტეტის მერიის საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება # 54-პ/შ

28 / იანვარი / 2020 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე ირაკლი ჩადუნელის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის 37 და 47 დადგენილებების და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი

თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 13 იანვრის 4 მომართვით წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის 2020 წლის იანვრის 20 ოქმის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობაზე, 2020 წლის 28 იანვრიდან დაინიშნოს ირაკლი ჩადუნელი, ამასთან, იგი გათავისუფლდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან; ,

2. ბრძანება ეცნობოს: ირაკლი ჩადუნელს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ, შიდა აუდიტის და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ირაკლი ჩადუნელი დაიბადა 1977 წელს. დაამთავრა გორის სასწავლო უნივერსიტეტი(ფინანსები,საბანკო და საგადასახადო საქმე), მიიღო ბაკალავრის ხარისხი. 2003-2005 წლებში მუშაობდა ხაშურის გამგეობის განათლებისა და კულტურის საბიუჯეტო დაწესებულებების ბუღალტერიაში, 2005-2009 წლებში იყო სურამის I საჯარო სკოლის ბუღალტერი, 2014-2015 წლებში კი ხაშურის სკოლამდელი აღზრდის №9 საბავშვო ბაღის ბუღალტერი. 2015 წლიდან დღემდე იყო ხა შურის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის მთავარი სპეციალისტი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება # 56-პ/შ

28 / იანვარი / 2020 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ირმა ნოზაძე-ჩადუნელის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის 37 და 47 დადგენილებების და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 13 იანვრის 4 მომართვით წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის 2020 წლის 13 იანვრის 20 ოქმის შესაბამისად, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 2020 წლის 28 იანვრიდან, დაინიშნოს ირმა ნოზაძე-ჩადუნელი, ამასთან, იგი გათავისუფლდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან;

2. ბრძანება ეცნობოს: ირმა ნოზაძე-ჩადუნელს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ირმა ნოზაძე-ჩადუნელი დაიბადა 1973 წელს. დაამთავრა დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 2004-2005 წლებში იყო რაიონის გამგეობის საერთო განყოფილების სპეციალისტი (შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე), 2006-2007 წლებში კი - ამავე განყოფილების სპეციალისტი. 2007-2010 წლებში გამგეობის აპარატის სპეციალისტია, 2010-2012 წლებში – მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი. 2013-2014 წლებში იგი მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმისწარმოების, ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტია. ამის შემდეგ – 2017 წლამდე - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზეა. 2017-2018 წლებში იყო მუნიციპალიტეტის მერიის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. 2018 წლიდან კი იყო მერიის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის სპეციალისტი.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება

№ 55-პ/შ 28 / იანვარი / 2020 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე ბექა მაისურაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის 37 და 47 დადგენილებების და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 13 იანვრის 4 მომართვით წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის 2020 წლის 13 იანვრის 20 ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 2020 წლის 28 იანვრიდან, დაინიშნოს ბექა მაისურაძე, ამასთან, იგი გათავისუფლდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან;

2. ბრძანება ეცნობოს: ბექა მაისურაძეს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ, ეკონომიკური განვითარების და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე, შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ. ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ბექა მაისურაძე დაიბადა 1991 წელს. 2013 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი. 2010 წელს კი მიიღო მაგისტრის ხარისხი (ბიზნეს-ინჟინერინგი).

2013-2015წლებში მუშაობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის წიფის საჯარო სკოლაში პედაგოგად. 2015 წლიდან დღემდე კი იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერიის წარმომადგენლობის საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
მერის ბრძანება

№ 58-პ/შ 28 / იანვარი / 2020 წ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ოთარ მახარაშვილის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.გ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ„ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის 37 და 47 დადგენილებების და ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო კომისიის 2020 წლის 13 იანვრის 4 მომართვით წარმოდგენილი საკონკურსო კომისიის სხდომის 2020 წლის 13 იანვრის 20 ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე,2020 წლის 28 იანვრიდან, დაინიშნოს ოთარ მახარაშვილი, ამასთან, იგი გათავისუფლდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობიდან;

2. ბრძანება ეცნობოს: ოთარ მახარაშვილს;

3. ბრძანება ეცნობოს: ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ, ზედამხედველობის და საბიუჯეტო სამსახურებს;

4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში(ქ. ხაშური კოსტავას ქ. 15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ოთარ მახარაშვილი დაიბადა 1992 წელს. 2017 წელს დაამთავრა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. მიიღო მაგისტრის ხარისხი. 2014-2016 წლებში საქმიანობდა არასამთავრობო ორგანიზაციაში "ახალგაზრდები ახალგაზრდობისა და მომავლისათვის". 2017 წლიდან დღემდე იყო მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი, შემდეგ კი-ამავე სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი.

მიწის რეგისტრაციას საქართველოს მოქალაქეები კიდევ უფრო მარტივად შეძლებენ

მიწის რეგისტრაციის რეფორმა, რომელიც 2016 წელს დაიწყო, 2020 წლიდან უვადო გახდება, რაც მოსახლეობის მაღალი ინტერესით იყო განპირობებული. რეფორმის ფარგლებში მოქალაქეებისთვის უფასოა შემდეგი სერვისები: საჯარო რეესტრის მიერ სარეგისტრაციო წარმოების პროცესში დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია; ნოტარიუსის მიერ გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერის დამოწმება; მიწის ნაკვეთზე უფლების აღიარება; ფაქტების კონსტატაცია; მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაცია; დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების დაზუსტება, სანოტარო მედიაცია.

როგორც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის ხაშურის ფილიალში გვითხრეს:

-მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის გამარტივებული წესი, რომელიც 2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედებს, გახდება მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ზოგადი წესი და იმოქმედებს უვადოდ. 2016 წლიდან დაწყებული, მიწის რეგისტრაციის რეფორმის გახანგრძლივება მოქალაქეთა მხრიდან რეფორმის მიმართ მაღალი ინტერესითაა განპირობებული. რეფორმის ამოქმედების შემდეგ, მოქალაქეთა მიმართვიანობა, საშუალოდ, ხუთჯერ გაიზარდა, ხოლო მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ტემპი - სამზე მეტჯერ. მოსახლეობის აქტიური ჩართულობა და რეფორმის ფარგლებში საჯარო რეესტრსა და მოქალაქეს შორის საფუძვლიან დავათა მცირე ოდენობა ადასტურებს, რომ 2016 წელს დაწყებული მიწის რეგისტრაციის რეფორმა წარმატებულია. 2016 წლიდან დღემდე წარმატებით დარეგისტრირდა 756 000-ზე მეტი განაცხადი, რაც დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2016 წლამდე დარეგისტრირებულ ფართობზე სამჯერ მეტია. სწორედ ამიტომ, აქამდე მოქმედი მიწის რეგისტრაციის გამარტივებული წესი გახდება ზოგადი წესი და იმოქმედებს უვადოდ.

მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში შემუშავებული გამარტივებული წესის დანერგვა მიწის ნაკვეთებზე უფლებათა რეგისტრაციის პროცესის დასრულებას შეუწყობს ხელს. ეს, ერთი მხრივ, დაიცავს მესაკუთრეთა უფლებებს, მეორე მხრივ კი, დაეხმარება მთავრობას, შეიმუშაოს სოციალური პროექტები, წარმართოს მიწის ადმინისტრირებისა და მიწათსარგებლობის ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს უწყვეტ ეკონომიკურ ზრდას სოფლის მეურნეობისა და აგრობიზნესის სექტორებში.

რეგისტრაცია კვლავინდებურად იწარმოებს ორი სახით: სპორადული და სისტემური წესით.

როგორც სპორადული, ისე სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში:

ფართოვდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების ლეგალიზების საფუძვლები. ეს იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტებით, რომლებითაც მიწის რეგისტრაცია დღეს შესაძლებელი არ არის, მოქალაქეები მიწის დარეგისტრირებას შეძლებენ. მაგალითად, მიღება-ჩაბარების აქტი ან მებაღის წიგნაკი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შედგენილად ჩაითვლება, თუ მასში არ არის მითითებული დოკუმენტის გაცემის წელი;

კიდევ უფრო მარტივდება ფორმის დაუცველად დადებული გარიგებების საფუძველზე უფლებათა რეგისტრაციის წესი. შესაბამისად, ამგვარი გარიგების საფუძველზე მიწის რეგისტრაციას მეტი მოქალაქე შეძლებს. კერძოდ, რეგისტრაცია შესაძლებელი ხდება დოკუმენტის ასლის საფუძველზე, თუკი ასლი დაცულია ეროვნულ არქივში, საჯარო რეესტრში ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს არქივში;

მარტივდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზე. იმ შემთხვევაში, თუ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე არ იძებნება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, საკუთრების უფლების რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობით – შესაძლებელი ხდება საკუთრების უფლების რეგისტრაცია იმ კომლების (ოჯახების) მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც აღრიცხულნი არიან საკომლო წიგნებში, მაგრამ საკომლო წიგნში მათი ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია შევსებული არ არის. დღეს, ამგვარი მიწის რეგისტრაცია არ არის შესაძლებელი. ასეთი შემთხვევებისთვის კანონპროექტით დგინდება ფაქტობრივად დაკავებული მიწის ნაკვეთის მაქსიმალური ზღვრული ნორმა 0,75 ჰა, რაც, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის საკომლო წიგნების ანალიზის საფუძველზე, საოჯახო მეურნეობებისთვის გამოყოფილი მიწის ოდენობების საშუალო მაჩვენებელია.

გარდა ამისა, სისტემური რეგისტრაციის შემთხვევაში:

რეგიონს, სადაც სისტემური რეგისტრაცია განხორციელდება, განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი საჭიროებისა და სახელმწიფო ინტერესიდან გამომდინარე;

აზომვითი სამუშაოების ზუსტად ჩატარების მიზნით, იმისათვის, რომ თითოეული მესაკუთრის უფლება სრულად იქნეს დაცული, პროექტის ფარგლებში საკადასტრო სამუშაოების ჩატარება შეეძლებათ მხოლოდ აკრედიტებული სუბიექტის მიერ სერტიფიცირებულ პირებს;

მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, ნაცვლად მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისა, დადგინდება სააგენტოს მიერ;

თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლებას სააგენტო

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

მიწის რეგისტრაციას საქართველოს მოქალაქეები კიდევ უფრო მარტივად შეძლებენ

ადიარებს; სააგენტო საკუთრების უფლებას ადიარებს თვითნებურად დაკავებულ ისეთ სათიბ, სახნავ ან საკარმიდამო მიწის ნაკვეთებზეც, რომლებზეც განთავსებული არ არის შენობა-ნაგებობა ან ისინი არ წარმოადგენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავე მიწის ნაკვეთებს.

სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში:

თუკი სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დაინტერესებული პირის უფლება ვერ დადასტურდება, საჯარო რეესტრი განსაზღვრავს, რამდენად ექვემდებარება საკუთრების უფლება ადიარებას და მხოლოდ დადებითი პასუხის შემთხვევაში გადაუგზავნის საქმეს მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების ადიარების კომისიას, რაც განტვირთვას კომისიებს საქმეებისაგან და დააჩქარებს განხილვის პროცესს;

იცვლება ადიარების კომისიების მიერ სააგენტოდან გადაგზავნილი საქმეების განხილვის ვადა და ის განისაზღვრება 3 თვით. პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმად და გასაჩივრდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. ცვლილება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ადიარების კომისიაში საქმეების განხილვის ხანგრძლივობა და გაჭიანურება დღეს მოქმედი რეგულაციის ერთ-ერთი გამოწვევაა;

ფართოვდება მიწის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის ცნება. მათ შორის, თუკი დღეს ასეთ დოკუმენტად მიიჩნევა ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში აღრიცხული, 1994 წლამდე თვითნებურად დაკავებული მიწა, ახალი რეგულაციით ეს წესი გავრცელდება 2004 წლის 4 ოქტომბრამდე თვითნებურად დაკავებულ მიწებზე, რაც მიწის დაკანონებას გაუადვილებს მოქალაქეებს, რომლებიც მიწის ნაკვეთებს 1995 წლიდან ფლობენ.

აღსანიშნავია, რომ არც სპორადული და არც სისტემური რეგისტრაციის შემთხვევაში, 2021 წლის პირველ იანვრამდე მიწის დაკანონება არ მოახდენს გავლენას იმ ოჯახების სარეიტინგო ქულებზე, რომლებიც იღებენ სოციალურ დახმარებას და სარგებლობენ სხვადასხვა შეღავათებით. შესაბამისად, ასეთ ოჯახებს შეუნარჩუნდებათ სოციალური დახმარება და ყველა შეღავათი, რითაც მიწის რეგისტრაციამდე სარგებლობდნენ.

კანონის ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრამდე დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია, გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება, სანოტარო მედიაცია, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების ადიარება, ფაქტების კონსტატაცია უსასყიდლოდ, საზღაურის გარეშე შესრულდება, ხოლო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება და მასში ცვლილება სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე დარეგისტრირდება. ამასთან, სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში, 2022 წლის 1 იანვრამდე სამკვიდრო მოწმობის გაცემა უფასო იქნება.

რა არის კორონავირუსი და როგორ ავირიდოთ ის?!

2020 წლის იანვრიდან მედია აქტიურად აშუქებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გავრცელებული ინფექციური დაავადების შესახებ, რომელიც „ახალი კორონა ვირუსის“ სახელით გახდა ცნობილი. ოფიციალური მონაცემებით, დაინფიცირებულთა რიცხვი 10 ათასს გასცდა, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობა 300-ს აღწევს. ინფექციის ძირითადი კერა ქ. უხანია. სამწუხაროდ, ვირუსი გასცდა ჩინეთის საზღვრებს და გავრცელა ტაილანდში, იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და აშშ-ში. მომხდარის გამო, ჩინეთის ორ ქალაქში კარანტინი გამოცხადდა. კორონავირუსის გამომწვევ მიზეზად კრევეტები, ქვეწარმავლები, ღამურები და მსგავსნი სახელდება, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ჩინურ სამზარეულოში.

„ახალი კორონა ვირუსის“ გამომწვევი ჩვეულებრივი გაციებისა და რესპირატორული სინდრომის ჯგუფში შემავალი დაავადებაა, რომელიც უფრო ნაკლები გავრცელებით, თუმცა გაცილებით მაღალი სიკვდილიანობით ხასიათდება, ვიდრე დანარჩენი ორი. კორონა ვირუსის წყარო, სავარაუდოდ, ღამურები, თხები და აქლემებია არიან. ინფექციის გავრცელების თვალსაზრისით, საფრთხეს წარმოადგენს დაინფიცირებული ან დაავადებული ადამიანიც. გამომდინარე იქიდან, რომ კორონა ვირუსი არ ვრცელდება „ფართო საზოგადოებაში“, ინფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა დაავადებულთან ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტი. გარდაცვლილთა შორის, ძირითადად, ხანშიშესულები და დაქვეითებული იმუნური სისტემის მქონე პირებია არიან.

კორონავირუსი იწვევს ფილტვების ანთებას (პნევმონიას), რომელიც შემდეგი სიმპტომებით გამოვლინდება: ხველა, მაღალი ტემპერატურა, სუნთქვის გაძნელება, ზოგადი საერთო სისუსტე. ანტივირუსული მკურნალობის ფონზე, აღნიშნული სიმპტომები უმჯობესდება, თუმცა საბოლოოდ გამოჯანმრთელება ადამიანის ორგანიზმზეა დამოკიდებული. გამომდინარე იქიდან, რომ დაავადების გამომწვევი არის ვირუსი და არა ბაქტერია, ამ შემთხვევაში ანტიბიოტიკები უეფექტოა, ამიტომ თავი შეიკავეთ თვითნებურად მათი მიღებისაგან.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, საქართველო მოქმედებს ჯანმრთელობის საერთაშორისო წესების მიხედვით და ჯერჯერობით რამე ტიპის შეზღუდვა ცნობილი არ არის.

უსაფრთხოების მიზნით, დაიცავით პირადი ჰიგიენის წესები ზედმიწევნით, ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცე, მოერიდეთ სურდოიან და სიცხიან ადამიანებთან კონტაქტს, ეცადეთ ატაროთ ერჯერადი სამედიცინო პირბადე, განსაკუთრებით საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, საჭიროების შემთხვევაში დროულად მიმართეს ექიმს. რაც ყველაზე მთავარია, გაიძლიერეთ იმუნური სისტემა, იკვებეთ სრულფასოვნად, იყავით ფიზიკურად აქტიურები, დაკავდით სპორტით, დაიცავით ძილის სწორი რეჟიმი. ძლიერი ორგანიზმი მნიშვნელოვანი იარაღია ნებისმიერ დაავადებასთან ბრძოლაში. გისურვებთ ჯანმრთელობას!

მერი ჩიტაძე,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი

გამოფენა-კონკურსი ახალგაზრდებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს

30 იანვარს, ხაშურის №1 საჯარო სკოლაში, გაიმართა გამოფენა-კონკურსი, სადაც წარმოდგენილი იყო ხაშურის ოთხი საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან დამზადებული ხელნაკეთი სათამაშოები, აქსესუარები და სხვადასხვა დანიშნულების ნივთები. პროექტი მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას გარემოს დაცვის საკითხებზე. პროექტი "ნარჩენების ეფექტიანი მართვა", ხორციელდება საზოგადოება "ბილიკი"-ის მიერ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის CENN/USAID WMTR II პროგრამის მხარდაჭერით.

ირმა კიტრიაშვილი, ორგანიზაცია CENN შიდა ქართლის კოორდინატორი:

–პროექტი "ნარჩენების ეფექტიანი მართვა" ხორციელდება საქართველოს მასშტაბით ოთხ რეგიონში, შიდა ქართლში, აჭარაში, თბილისსა და კახეთში. შიდა ქართლში ჩართული იყო 16 საჯარო სკოლა. ამ პროექტის ფარგლებში, გავეცით გრანტი, ორგანიზაცია "ბილიკზე", რომელმაც განახორციელა სხვადასხვა აქტივობები. დღევანდელ გამოფენა-კონკურსზე წარმოდგენილია ნარჩენებისგან შექმნილი სხადასხვა დანიშნულების ნივთები. ასეთი ღონისძიებები სტიმულს მისცემს ადამიანებს, რომ დავიცვათ გარემო და უკვე გამოყენებულ ნივთებს, სხვა სიცოცხლე მივანიჭოთ. წარმოდგენილია ოთხი სკოლა, ჟიური შეაფასებს მოსწალეების ნამუშევრებს, გამარჯვებული მოსწავლე გაემგზავრება ბაკურიანში ახალგაზრდულ ბანაკში. ამით პროექტი არ სრულდება. აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე. მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ ჩვენ შევედით საბავშვო ბაღებში, სადაც აღნიშნულ თემაზე ვახორციელებთ პატარების ცნობიერების ამაღლების კამპანიას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“,2020 წ.#2,3)

ამავე ფაქტს ეხება ფარსადან გორგიჯანიძეც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ბრძოლას საკმაოდ დეტალურად აღწერს და ადგილმდებარეობასაც აკონკრეტებს. იგი ბრძოლის ადგილად ქვიშხეთს ასახელებს. „ბატონი თეიმურაზ გორით აიყარა და ქვიშხეთს მივიდა. როსტომ მეფე ერანის ლაშქრით ქალაქში შემოვიდა და ბატონის თეიმურაზის ულაშქრობა მეფეს როსტომს მოახსენეს. ქალაქით ორიათასი ცხენკეთილი კაცნი დაარჩივეს და ქვიშხეთს გაუძახეს, რომ ბატონს თეიმურაზს დაესხან. იმათაც შეეტყო და ჯალაბნი და ბარგი წინ გაესტუმრებინა და თვითან სახმარის კაცებით უკან ასდევნოდეს და მდევართაც ზოგთ ცხენები დავარდნოდათ, ცოტა ვინმე წამოსწეოდნენ და ომს დარიდებოდნენ, უკან დავარდნილის კაცისა და ბარგისაგან ეშოვნათ, გორს მეფეს მოართვეს და ბატონი თეიმურაზ იმერეთს გადავიდა...“. „პარიზის ქრონიკის“ ავტორიც ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას იმეორებს და ბრძოლის ადგილს ზოგადად ზემო ქართლს მიუთითებს. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი კი იმის აღნიშვნით იფარგლებიან, რომ თეიმურაზი პერანგის მთის გადასასვლელით გადავიდა იმერეთში.

უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ მოვლენების შემდეგ შეაყენა როსტომ მეფემ სურამის ციხეში მცველებად ყიზილბაშები, რაც სამხედრო თვალსაზრისით მისი მდგომარეობის განმტკიცების ერთ-ერთი წინაპირობა უნდა ყოფილიყო ზემო ქართლში (როგორც ჩანს, თეიმურაზს საკმაო მომხრეები ჰყავდა ზემო ქართლში). ეს კი, თავისთავად ცხადია ირანის პოზიციების ქართლში განმტკიცებასაც ნიშნავდა.

თვით ფარსადან გორგიჯანიძეც გვერდს ვერ უვლის იმ ფაქტს, რომ როსტომის გამეფებას „ქართლის ყიზილბაშებით ავსება“ მოჰყვა. ამის შემდეგ „იწყო ქართლის წესმან და რიგმან გარდაცვალება... გაძლიერდენ თათარნი და კადნიერებდენ ქართველთა ზედა“ (178). ბევრმა ისეთმა წესმა მოიკიდა ფეხი საქართველოში, რომელიც მანამდე უცხო იყო ქართული სინამდვილისათვის. ეს ეხებოდა მანამდე არსებულ ნებისმიერ ქართულ ტრადიციას, ზნე-ჩვეულებას. ამ დროს, ბერი ეგნატაშვილის თქმით,„შემოვიდა ზოგ-ზოგან ტყვის სყიდვა თავადთაგან და, რომელნიცა იყვნენ ობოლნი და ქურივნი, გამოიყუანებდენ, და გაჰყიდიან, და განმრავლდა ცოდვა“. ასეთ ვითარებაში, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული ეკლესიაც, იგივე ბერი ეგნატშვილი აღნიშნავს: „...თვით სამღვდელონიცა და მღვდელთმთავარნიცა მიდრკეს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა... ამას შინა მოუძლურდა სჯული და განირყუნა წესი ეკლესიისა“.

ასევე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სურამის მხარეშიც. მით უფრო, რომ ყველა მნიშვნელოვან ადგილას ყიზილბაშების გარნიზონები იდგა. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერის“ ერთი ადგილის მიხვედით, რომელიც XVII საუკუნის დასასრულის ქართლის მდგომარეობას გვიხატავს, თითქმის ისეთივე მოვლენებს აქვთ ადგილი ამჯერადაც, რაზეც ზემოთ იყო საუბარი. ამ დროს ქართლში მეფობდა ერეკლე I (ნაზარალიხანი, 1688-1701 წწ.), ისიც მაჰმადიანი სარწმუნოების აღმსარებელი. მისი მეფობის პერიოდს ვახუშტი ასე ახასიათებს: „...იცვლებოდა ქცევა-ზნენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესითა და ყოვლითა უწესობითა ქრისტიანულისათა ცოდვითურთ“. სურამის ციხეში ჩაყენებული ყიზილბაშები ისე „გათამამებულიყვნენ“ რომ ახლომახლო ადგილებიდან ტყვეებს იტაცებდნენ და ჰყიდნენ: „ამა ჟამთა იპარავდიან სილაღითა მცველნი ციხისანი, თათარნი ტფილისისა, გორისა და სურამისა ტყუეთა და ჰყიდიან...“ - წერს ვახუშტი ბატონიშვილი.

იგივე ფაქტი დასტურდება სხვა დოკუმენტური წყაროთიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ საქმეში, არა მარტო ყიზილბაშები, უკვე სურამის მხარის ზოგიერთი თავადიც ყოფილა ჩართული. „...შეერიათ ქართველთაცა სყიდვა ტყუეთა“, - შენიშნავს ვახუშტი ბატონიშვილიც ქართველებში იმ დროს უკვე ფეხმოკიდებული მძიმე სენის შესახებ.

1692 წელს ივანე ქურდაძე, როსაბ მაჭავარიანისადმი მიცემულ ნასყიდობის სიგელში აღნიშნავს, რომ ქაიხოსრო და თეიმუ

რაზ ჩხეიძეებმა სურამის ციხეში თათრებს „ერთი თავისი ყმის შვილი მისცეს“, რომელიც შემდეგ გამოიპარა, ივანე ქურდაძის დახმარებით ჯავახეთში გადავიდა და დაიმალა. როდესაც ეს ამბავი ცნობილი გახდა, ივანე ქურდაძე ცოლ-შვილითა და ძმით ყიზილბაშებმა სურამის ციხეში დაატყვევეს, რომელიც შემდეგ როსაბ მაჭავარიანმა დაიხსნა. ამის სანაცვლოდ, ივანე ქურდაძე იძულებულია, მაჭავარიანს ეყმოს „ყოვლის კაცის უცილობლად“.

„...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვით ჩვენ, ქურდაძე ივანემ და შვილმან და მამავალმან სახლისა ჩემისამან თქვენ, ბატონს ჩვენ მაჭავარიანს როსაბს, შვილსა თქვენსა ინანასა და რამაზს, ასე რომ ჩხეიძე ქაიხოსრომ და თეიმურაზ, სურამის ციხე თათრებს ეჭირა და მეციხოვნად იდგნენ, იმ ციხის თათრებს ერთი თავისი ყმის შვილი მისცეს. ყვანდათ. ის ტყვე გამოპარვოდათ, ჩემ სახლში მოსულიყო, მოვედი და ვნახე, ვეღარ ვუღალატე, მეორედ ვეღარ გავყიდე, ნათესავიც იყო, დავმალე და ჯავახეთს წავიყვანე. მეხუთეს წელიწადს მთხრობელი მოსლოდათ: ივანემ და პაპუნამ ქურდაძეებმა მოიყვანეს. გამამაჩნდა ის ტყვე, ვეღარსად დავიმალე. ამიყვანეს ცოლით, შვილით, ორნი ძმანი მამულით და ალაგით... საზღაური რომ ვერ შევიძელით, ციხეში ვყვანდით დატყვევებული. წავედით, ისევ ჩვენს ბატონს შევეხვეწენით როსაბ მაჭავარიანს - „მაინც ძველთაგანაც პაპი-თქვენის წყალობელი ვიყავით ხელმწიფისაგან...“, ჩემი თავი თქვენ გამოიხსენით... გამოგვიხსენით ორნივ ძმანი ცოლითა, შვილთა, მამულითა და ალაგითა, შესავლითა და გასავლითა, რისაც მქონე ვიყავით, ჩემი თავი თქვენთვის მამირთმევია ყოვლის კაცის უცილობლათ...“.

ქართლში ერეკლე I-ის გამაფებას, თავდაპირველად, გიორგი X არ შერიგებია, იგი იმერეთში გადავიდა და ცდილობდა ტახტის დაბრუნებას. ერთი პერიოდი ქართლში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, როცა თბილისში შაჰის მიერ ხელდასმული ერეკლე I იჯდა, ხოლო ქართლს რეალურად გიორგი X განაგებდა. ირანის ტახტზე შაჰ – სულთან ჰუსეინის ასვლის შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა და გიორგი კვლავ იძულებული ხდება იმერეთში გადავიდეს.

ამ დროს მან “...ბატონიშვილი გიორგი (უნდა იყოს ქაიხოსრო-თ.ლ.), ვახტანგ და რძალი (რუსუდანი –თ.ლ.) გაგზავნა ჩხეიძის ქაიხოსროს სახლში, ვითაც ერთგული იყო და შვილი ქაიხოსროსი თეიმურაზ ისპაანს ბატონიშვილს ლევანს შერჩომოდა და ერეკლე მეფეს არ გამოჰყოლოდა”.

ჩხეიძეები სურამთან ახლოს, იტრიაში, სახლობდნენ. ერეკლე I იწყინა ჩხეიძეთა საქციელი. “რა ჩხეიძეს მეფის ერეკლეს წყრომა მოუვიდა, ვეღარც ბატონიშვილები დადგნენ, აიყარნენ, წაუძღვა სეხნია (ჩხეიძე-თ.ლ.) ერთ-პირად მოყვარე იყო აბაშიძე გიორგი, ციხე ჰქონდა მაგარი, ხარაგეულს დააყენა ბატონიშვილი ვახტანგი, რძალი მეფისა რუსუდან, ბატონი თინათინ ქვაბს დააყენა, დადგა ბატონიშვილი ქაიხოსრო წიფას”.

ირანის შაჰის დამოკიდებულება გიორგი X-ის მიმართ საგრძნობლად შეიცვალა XVII საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როცა გიორგი მის სამსახურში ჩადგა. მოგვიანებით, 1703 წელს შაჰმა მასვე დაუბრუნა ქართლი.

1701 წელს, ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა თავისთან დაიბარა გიორგის ძმა – ლევან ბატონიშვილი. შაჰმა კარგად მიიღო ქართველი ბატონიშვილი. იგი ისპაანში მისვლისთანავე უნახავს შაჰს, “დახუდა მხიარულის პირითა ... დაჯდა ნადიმად და შექმნა სამხიარულო... “ და უბოძა ირანის მდივანბეგობა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ლევანმა შაჰს მოახსენა: „შვილი ჩემი შენი ყულიაო, სხვის საბატონოში პურს რატომ ითხოვდესო, მიყავ წყალობა და რაც ქართლში საუფლისწულო მქონია, მიბოძეო”.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, გიორგი მეფემ ლევანის გამო თხოვა შაჰს: „რამეთუ მწირი არს ძე ჩუენი ვახტანგ იმერეთს და, უკეთუ არარაი ეყოს შეწევნა ჩუენ მიერ, წარვალს იგი რუსეთს და ამისთვის ჩვენ უვნო ვიყვნეთ წინაშე შენსა”. შაჰმა შეიწყნარა ლევანის (გიორგის) თხოვნა და ერეკლე I-ს უბრძანა ვახტანგის ქართლში მოყვანა და მამამისის კუთვნილი საუფლისწულო მამულების დაბრუნება.

„მსმენელმან ყაენმან მსწრაფ მოუწერა ერეკლე მეფესა, რათა მოიყვანოს ვახტანგ ქართლსდამი სცეს ყოველნი საუფლუსწულონი მამისა თვისისა ლევანისა“. ცხადია, ერეკლე მეფე„დაღათუ არა მნებელი ამის, ვერ ურჩ ექმნებოდა ყეენსა” და ვახტანგთან წარავლინა კათალიკოზი ევდემოზი და სპასპეტი ლუარსაბი. ამ დროს დაბრუნდნენ ვახტანგის მიერ რუსეთში გაგზავნილი ზალია შანშიაშვილი და არჩილ მეფის შათირი მამუკა. ვახტანგი “განეზრახა იმერთა წარჩინებულთა”, წავიდეს რუსეთს თუ ქართლს. იმერეთის წარჩინებულებმა ვახტანგს ქართლში წასვლა ურჩიეს. ვახტანგი ალში გადმოვიდა, აქ შეხვდნენ ერეკლე მეფის წარგზავნილები, “შემოჰფიცეს კათალიკოზმან და ლუარსაბ უვნებლობისათვის” და ჩავიდა თბილისში. ვახტანგი ერეკლე მეფემ კარგად მიიღო და აცნობა შაჰის გადაწყვეტილება.

ამის შემდეგ, ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, “...მოვიდა სურამს ვახტანგ და მოიყვანა ცოლი და ძენი თვისნი და სახლეულნი და იყოფებოდა ოდესმე ნაზარ – ალიხანისა თანა ხოლო რა ჟამს ეუფლა ვახტანგ მამულსა თვისსა, მოსცა აბაშიძემ ხეფინის ხევი: “ვინაიდგან მკვიდრი თქუენი არის”.

სეხნია ჩხეიძის მიხედვით, ვახტანგი ხარაგაულიდან, რუსუდანთან და ბაქართან ერთად, უშუალოდ სურამში გადმოვიდა. ამ შემთხვევაშიც შაჰმა წერილი (რაყამი) მოწერა ერეკლე მეფეს, რომელმაც “ისმინა ბრძანება ხელმწიფისა, აახლეს კაცი ბატონიშვილს ვახტანგს. იქავ იმერეთს ხარაგეულს ექნა ქორწილი ჩერქეზის ბატონის ასულს რუსუდანზედა და ესვა ძე ერთი ბაქარ, გადმოვიდა სურამს, შეექნათ მათ ერთგულთა სიხარული და ორგულთა წყენა”.

ვახტანგი ამ დროს უნდა დაუფლებოდა სურამის ციხეს, რომელიც ამ დროს “ძლიერკოშკთა“ შორის მოიხსენიება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1701 წელს, როდესაც ვახტანგ ბატონიშვილი სურამში - მამამისის საუფლისწულო მამულში დადგა, შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალ-მწიგნობარნი და დიდი სამეცნიერო და კულტურული მუშაობა გააჩაღა. სულხან-საბასთან ერთად შეადგინა დასტურლამალი, სამართლის წიგნი. შეკრიბა სიგელ-გუჯრები, ქართლის ცხოვრების ხელნაწერები და ნუსხები, შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელსაც ბერი ეგნატაშვილი ჩაუყენა სათავეში. კომისიამ შეძლო შეევსო დიდი ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში და შეადგინა „ახალი ქართლის ცხოვრება“. ვახტანგის საქმიანობა, ქართული მეცნიერებისა და კულტურის აღორძინების ხანის დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ, რასაც ადგილი ჰქონდა XVIII საუკუნის I მეოთხედში. ეს კი მეტად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს სურამის კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის.

ამრიგად, XVIII საუკუნის დასაწყისიდან, სურამის ციხე ქართველებმა დაიბრუნეს, თუმცა ორი ათეული წლის შემდეგ იგი ახალი დამპყრობლის ხელში აღმოჩნდა.

გვიანფეოდალურ ხანაში, ჯერ ქართლის, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში სურამის ციხის მნიშვნელობა და როლი თვალსაჩინოა. ამაზე ლაპარაკობს არაერთი ქართული თუ უცხოური წყარო და დოკუმენტი.

XVIII საუკუნის 20-იანი წლები განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ქართლის სამეფოსათვის. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს ოსმალებმა და 1723 წელს თბილისი დაიპყრეს. აქედან ჯარი გაგზავნეს ქართლში და ადვილად დაიჭირეს გორი და სურამი.

ვახტანგ VI, 1724 წელს, იძულებული გახდა, რუსეთში წასულიყო. ოსმალებმა ქართლის სამეფო ვახტანგის ძმას - იესეს მისცეს სამართავად. მანამდეც, სანამ ოსმალები დაიპყრობდნენ ქართლს, ირანის მიერ ვახტანგის მაგივრად სამეფო ტახტზე იესე იყო დასმული.

ქართლის დიდებულთა ერთი ნაწილი არ ურიგდებოდა ოსმალების დამკვიდრებას ქართლში და მათ წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ იესეს წყალობით, რომელიც „შეიქმნა ოსმალოს რჯულის და დაარქვეს მუსტაფა“, ისინი ამ ბრძოლაში დამარცხდნენ და 1725 წლისათვის ოსმალებმა უკვე მთლიანად „დაიპყრეს ყოველი ქართლი“. როგორც ზემოთ ითქვა, ქართლის სხვა ციხეებთან ერთად, სურამის ციხეც ოსმალებმა დაიკავეს და აქ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა ერთი ათეული წელი.

ქართლის სამეფოს ცხოვრებაში დაიწყო პერიოდი, რომელიც „ოსმალობის“ სახელწოდებით არის ცნობილი. იგი თითქმის ათი წელი გრძელდებოდა და თავისი შედეგებით მეტად მძიმე აღმოჩნდა ქვეყნისათვის.

იესეს გარდაცვალების შემდეგ, 1728 წელს, ისაყ ფაშამ ქართლი მცირე საგამგებლოებად „განჰყო“, „სომხით-საბარათიანო მისცა ერასტი ყაფლანიშვილს, მცხეთას ზეით-ბაგრატ ციციშვილს, ზემო ქართლი - გივი ამილახორს, მუხრანი და საერისთონი - მათთავე მთავართა“. ოსმალები ფიქრობდნენ, რომ ასე უფრო გაუადვილდებოდათ ქვეყნის მართვა, ოსმალური მმართველობის დამკვიდრება.

ქვეყანაში მძიმე, აუტანელი სიტუაცია სუფევდა. ვახუშტი ბატონიშვილის თქმით, „კუალად უკეთუ ავნის ვინმე ოსმალთა, ჩამოარჩვნიან ანძასა და გარდაახდევიან ვერცხლი დიდძალი“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია:- მადლობა ხაშურს და ხაშურელებს ასეთი საოცარი მასპინძლობისთვის...

(დასასრული)

სპორტული ცხოვრება. ახალგაზრდა თაობა სპორტის თერთმეტ სახეობაში ვარჯიშობს და პირობები მართლაც იდეალური აქვთ. რაც შეეხება საკალათბურთო დარბაზსიგი უმაღლესი დონისაა და ეს ყველა ვარსკვლავის მატჩმაც დაადასტურა.

ამ სასპორტო კომპლექსის აგება, მუნიციპალიტეტის დღევანდელი მერის გიორგი გურასპაშვილის წინასაარჩევნო პროგრამაში იყო და სიმართლე

ითქვას, ბევრი ამ დაპირებას სკეპტიკურად უყურებდა . თუმცა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მართლაც შეუძლებელი შეძლო და მისი და მთელი მერიის აქტიურობით ოცნება რეალობად იქცა.

მაშ ასე, 29 იანვარი, ხაშურის სასპორტო კომპლექსი. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ვარსკვლავის შოუ 18 საათზე იყო ჩანიშნული, საათნახევრით ადრე, დარბაზი უკვე სავსე იყო. ვიდრე უშუალოდ შოუს პერიპეტიებზე გადავიდოდეთ, ინფორმაციისთვის იმასაც მოგახსენებთ, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციის ორგანიზატორი იყო საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია, ხოლო მხარდამჭერები – განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, შიდა ქართლის რეგიონული კალათბურთის ფედერაცია და , რა თქმა უნდა, სასპორტო კომპლექსის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტის მერია. დაგვეთანხმებით, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მოვლენის ორგანიზება იოლი არაა და კომპლექსის ადმინისტრაციამაც და მერიამაც ყველაფერი გააკეთეს, რომ რაიმე ხარვეზს ადგილი არ ჰქონოდა. გამოუვიდათ კიდეც და დიდებულადაც.

ახლა კი უშუალოდ შოუს შესახებ. ALL STAR-ისათვის მონაწილეები სუპერლიგის ვებ-გვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩნენ. სათადარიგოები კი მწვრთნელებმა დაასახელეს. ადგილობრივი მოთამაშეების გუნდს „ბათუმის“ მთავარი მწვრთნელი გია კაზანჯიანი უძღვებოდა, ლეგიონერებისას კი „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი –მუჰამედ ტაჩი. საბოლოოდ შემადგენლობები ასე დაკომპლექტდა: ადგილობრივები – ლუკა ზაქარიაძე (თსუ), სანდრო სანაძე (ბათუმი), გიორგი კორსანტია (თსუ), ალექსანდრე ფევაძე (ბათუმი), გიორგი ტურძილაძე (თსუ), სათადარიგოები: ბექა ბექაური (ქუთაისი), რევაზ ჩაჩანიძე (დინამო), აკაკი დვალიშვილი ((რუსთავი), ლუკა ბულაშვილი (დინამო), საბა ლობჟანიძე (რუსთავი), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), გიორგი ვახანია (ვერა). ლეგიონერები, სასტარტო ხუთეული: ჯორჯე მილოსავლევიჩი (თსუ), დევიდ მაკვფარლანდი (თსუ), დენზელ ლივინგსტონი (რუსთავი), ნიკოლა ტადიჩი (რუსთავი), მილოშ პაიოვიჩი (ქუთაისი). სათადარიგოები: ტაილერ უილიამსი (დინამო), კევინ ობრაიენი (დინამო), კოლინ მალკოლმი (ბათუმი) ჯეიმზ მილიკენი (ქუთაისი), შონ რაუნდრთი (ქუთაისი), კორი სპენსი ((ტიტები), ლუკ

მეიერი (ტიტები).

ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობდნენ საქართველოს ჩირლიდერ გოგონათა ნაკრები, რომლებმაც მაყურებლებს წუთშესვენებაზე არაერთი ლამაზი ნომერი შესთავაზეს. გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ფრესკა“. დარბაზში იმყოფებოდნენ საქართველოს ნაკრებისა და ქართული კალათბურთის მხარდამჭერი მასკოტები – ლომი „ჯეო“ და მისი ოჯახის წევრები. საღამო კი დიდებულად მიჰყავდათ ლაშა მიქაუტაძეს და სოფო საჟინიანს.

მაშ ასე, 18 საათი, საქართველოს ჰიმნის თანხლებით, ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა მანუჩარ მარკოიშვილმა და მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის განყოფილების უფროსმა ბესო გაჩეჩილაძემ ქართული დროშა აღმართეს და დაიწყო ულამაზესი სანახაობა, ნამდვილი შოუ, რომელიც მთლიანად იყო გაჯერებული ისეთი ელემენტებით, რის გამოც ასე უყვართ კალათბურთი მთელ მსოფლიოში-სამქულიანების კასკადი, წარმოუდგენლად ლამაზი ჩატენვები, დახვეწილი კომბინაციები. ბუნებრივია, ასეთ დროს დაცვას ნაკლები ყურადღება ექცევა, ან ვის ჭირდება დაცვა, როდესაც სანახაობაა პირველ პლანზე, ამიტომაც არაა ანგარიში გასაკვირი-128-115-ქართველი მოთამაშეების სასარგებლოდ. მატჩის MVP-ის პრიზი, საბოლოოდ, გიორგი კორსანტიას გადაეცა, რომელმაც 23 წუთში 27 ქულა, 14 მოხსნა და 4 პასი მოაგროვა.

შოუს გვირგვინი სამქულიანებისა და ჩატენვების კონკურსი გახდა. სამქულიანებში, პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან, 5-5 ბურთს ისროდნენ.

25 სროლისათვის მონაწილეებს 1 წუთი ეძლეოდათ. სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი იბრძოდა პირველობისათვის და საუკეთესო შედეგი შონ რაუნდთრიმ დააფიქსირა-19 ქულა(თითოეული ჩაგდებული 1 ქულად ფასდებოდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი-2 ქულად)

ჩატენვების კონკურსი, როგორც ყველა დამსწრემ თუ ვეტერანმა კალათბურთელმა აღნიშნა, ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი იყო ქართული ALL STAR-ების ისტორიაში. წარმოიდგინეთ, გამარჯვებული დევიდ მაკფარლანდი, სამ ორმეტრიან კალათბურთელს გადაევლო თავზე და ისე ჩატენა ბურთი. ეს იმდენად შთამბეჭდავი სანახავი იყო, რომ ოვაციები დიდხანს არ წყდებოდა.

დასრულდა საღამო, დასრულდა ფოიერვერკების ფონზე, თუმცა აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს არ ტოვებდა დარბაზს და არც ოვაციები წყდებოდა.

პაატა გურასპაული – კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: –მადლობა, ხაშურს, მადლობა ხაშურელებს ამ საოცარი მასპინძლობისთვის. ვფიქრობთ, ჩვენმა ჩანაფიქრმა გაამართლა. რა თქმა უნდა, გვქონდა ერთგვარი შიში, როდესაც ასეთი მატჩის რეგიონში ჩატარება გადავწყვიტეთ, მაგრამ ხაშურის მაგალითმა გვაჩვენა, რომ შიში უსაფუძვლო ყოფილა. თუ აქამდე მსგავსი მატჩები მხოლოდ თბილისში და ქუთაისში ტარდებოდა, მომავალში, აუცილებლად რეგიონებში ჩატარდება, რაც კალათბურთის პოპულარიზაციას და მეტ ჩართულობას მოემსახურება.კიდევ ერთხელ მადლობა ხაშურს და ხაშურელებს.

გივი ბიჭიაშვილი, ვეტერანი კალათბურთელი: –თამამად შემიძლია გითხრათ, რომ წლევანდელი ALL STAR საუკეთესო იყო ქართული კალათბურთის ისტორიაში. ბრავო, ხაშურელებო!

გიორგი გურასპაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი: – ვფიქრობ, ხაშურმა დაამტკიცა, რომ ასეთი მაღალი დონის მატჩების მასპინძლობა თავისუფლად შეუძლია. სულ რამდენიმე თვე და ხაშურს მეორე მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტი-“ივერიის” სტადიონი შეემატება, რაც კიდევ უფრო გაზრდის სპორტულ მიღწევებს. რაც შეეხება დღევანდელ საღამოს, მართლაც დიდებული გამოვიდა და ძალიან მიხარია, რომ ქართული კალათბურთის რუკაზე ხაშური დიდი ასოებით შემოიხაზა.

ჩვენც გვჯერა, რომ ხაშური, მომავალში, არაერთ მნიშვნელოვან სპორტულ მოვლენას უმასპინძლებს და ამის საწინდარი 29 იანვრის ALL STAR-ია.

გ. გოგალაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.